ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 2302 პარასკევი, 24 ოქტომბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2302

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

№ 11.

ქართული თეატრი

ტელეფონი № 617

კვირას, 26 ოქტომბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I

ხ ა თ ა ბ ა ლ ა

კომ. 4 მოქმ. თხზ. გ. ნ. სუნდუკიანცისა.

II

ბ უ ტ ი ა ო ბ ა

ვოდ. 1 მოქმ. ა. წერეთლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. დავითაშვილი, ა. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: დ. აწყურელი, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ლ. მირიანაშვილი, ს. სვიმონიძე, საფაროვი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „ჰამლეტი“

რეჟისორი აკაკი

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

პარასკევს, 24 ოქტომბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქნება

ა ი დ ა

ოპერა 4 მოქმედებად, მუსიკა ვერდისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ალმაევა, სელიუკ; ბ-ნნი: დარსკი, ილიუშჩენკო, ამირჯან, ფედოროვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 25 ოქტ. კომპ. ჩაიკოვსკის გარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების გამო გაიმარ. სამუსიკო საღამო, ფიგნერისა, მთელის დასისა, ბალეტისა და ორკესტრის მონაწილეობით. (5.)

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი. კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, სებებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12 1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიან.—ქალისა და სებებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12 1 ს.

ბრ. ვ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5 -6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 6, პიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვნაჭისა. (წლ.)

გამოცდილი

მასწავლებელი,

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, **ამზადებს მოსწავლეთ** საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (უ. 0—2)

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (10—6.—8)

„ცნ. ფურ.“-ს რედაქციისაგან

ვისაც უკანასკნელი ხვედრი ფული არ შემოუტანია, ვთხოვთ დააჩქაროს შემოტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში 1 ნოემბრიდან ჟურნალი და გაზეთი აღარ გაეგზავნება.

საზღვარ-გარედ

უწესოება პარიზის შრომის ბირჟაზე

„სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტო“-ს პარიზიდან 17 ოქტომბერს დეპეშით ატყობინებენ: „გუშინ შრომის ბირჟაზე დიდი უწესოება მოხდა, ბოლოს პოლიციელებსა და სანოვაგის დუქნებში მოსამსახურეებს შეტაკებაც მოუვიდათ. მოსამსახურენი თხოულობდნენ, შრომის კერძო კანტორები დაიკეტოსო. პოლიცია მოვიდა და ბირჟა დაიჭირა. შეტაკება მოხდა და 100-მდე კაცი დაიჭრა. 44 კაცი დაიჭირეს. დღეს დეპუტატთა პალატაში ამ საქმის თაობაზე მთავრობას შეეკითხნენ. კომბმა დეპუტატებს უპასუხა და გამოაცხადა: პოლიციის ქცევას მეცა ვგმობო; პოლიცია შრომის ბირჟაში არ უნდა შევარდნილიყოო; საქმეს გამოვიძიებთ და ყველას, ვინც უწესოებაში ერია, პასუხის გებაში მივცემთო.

გაზეთების აზრი რუსეთისა და გერმანიის იმპერატორების შეხვედრაზე

გუშინ მოხსენებული გვქონდა, რომ ინგლისურ პრესის აზრით, რუსეთისა და გერმანიის იმპერატორების შეხვედრას დიდი კავშირი ექნება შორეულ-აღმოსავლეთის საქმესთანაო. ფრანგული პრესა კი სულ სხვა თვალით უყურებს ამ საქმეს: ამ შეხვედრას უბრალო საერთაშორისო ზრდილობის მნიშვნელობა აქვს; პოლიტიკასა და დიპლომატიურ ურთიერთობაზე კი არაფერი გავლენა არ ექნებაო.

გერმანულ ოფიციოზურ გაზ. „კელნიშე ცაიტუნგ“-ის აზრით-კი, იმპერატორების მომავალ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ექნება. გაზეთი სწერს:

„ამ ჟამად მეტად დიდი საერთაშორისო საქმეებია გადასაწყვეტი. რუსეთიც და გერმანიაც მშვიდობიან პოლიტიკას მისდევენ. ამიტომ, იმედი გვაქვს, იმპერატორების შეხვედრა უფრო ხელს შეუწყობს მშვიდობიანობის განმტკიცებას. ზოგიერთი ჰფიქრობს, გერმანია რუსეთს გამოესარჩლება და რუსეთ-იაპონიის დავაში გაერევაო, მაგრამ ეს შემცდარი აზრია. მანჯურიაში ჩვენ არაფერი ინტერესი არა გვაქვს, ამიტომ ჩვენ წინანდებურად თავდაჭერით მოვიქცევით და ამ საქმეში არ გავერევით. მაგრამ გერმანიის თავდაჭერილი პოლიტიკაც ეჭვი არაა, დიდად სასარგებლოა რუსეთისათვის. რუსეთიც და გერმანიაც მშვიდობიანობისა და ზავის საქმეს ემსახურებიანო“.—უფრო გასაგებად რომ ვსთქვათ, გაზეთი ამბობს: გერმანია აშკარად არ გაერევა მანჯურიის საქმეში, მაგრამ რუსეთს კი არაფერს არ დაუშლის, როგორც ერჩიოს, ისე მოიქცეს მანჯურიაშიო.

აჯანყება ჩინეთში

კვანგსის პროვინციაში დიდი ხანია ხალხი აჯანყდა. გაზეთები იუწყებიან, აჯანყება თანდათან ძლიერდებაო. აჯანყებულების წინააღმდეგ რვა პროვინციიდან გაჰგზავნეს ჯარი. კვანტუნისა და კვანგსის ახალი მთავარ-მართებელი ჩენი ყოველ ღონესა ღონობს და, რაც კი შეუძლიან, ცდილობს, როგორმე წესიერება აღადგინოს, მაგრამ იმისმა წინამოადგილემ ისე ასწეწა აქაური საქმეები და ხალხი ისე ააღელვა, რომ ახალი მთავარ-მართებელიც ვერას გამხდარა. ეს აჯანყება სულ წინანდელმა მთავარ-მართებელმა გამოიწვია. ეს მთავარ-მართებელი თურმე სულ ტყუილ ცნობებს ჰგზავნიდა პეკინში, ასე რომ ჩინეთის მთავრობამ არც კი იცოდა, თუ კვანგსის პროვინციაში გაძლიერებული აჯანყება იყო. ამბობენ, წინანდელი მთავარ-მართებელი ჯარის-კაცებს ხალხის გაძარცვის ნებასაც კი აძლევდაო. მთავრობამ ღირსეულად დასაჯა ეს მთავარ-მართებელი: სრკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, შემდეგ აპატია და თურქესტანში კატორგაში გაჰგზავნა. მაგრამ აჯანყებული ხალხი მაინც არ დამშვიდდა და უფრო და უფროცა ჰღელავს. ამხობენ, ხალხს არც თუ ახალი მთავარ მართებელი უზის თვალშიო. აჯანყებულებს გამოუცხადებიათ, ვინც ჩვენ მთავარ-მართებელს მოჰკლავს, 100 ათას ტაელს მივცემთ ჯილდოდაო.

ახალი ამბავი

✦ ქუთაისის ოლქის სასამართლოს **საპატიო მოსამართლეებად დაინიშნენ**: ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი კალაჩოვი, ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი ჩებიში, ქუთაისის საგუბერნიო ექიმი სერგეენკო, სადლეხო საქმეთა საკრებულოს საქმის მწარმოებელნი: პრინცი და თავ. მელიქიშვილი, გამმიჯვნელ საქმეთა გამგენი: ქუთაისის პირველ ნაწილისა-გრენგელმი, მესამე ნაწილისა—იანიშევი, სახელ. ბანკის ბათუმის განყოფ. გამგე ჟუკოვსკი, ქალაქის მოურავნი: ქუთაისისა—ლორთქიფანიძე, ბათუმისა—თავ. ანდრონიკაშვილი, ფოთისა—ნიკოლაძე, სოხუმის ქალაქის მოურავის თანაშემწე დიმიტრიევი, სოხუმის საოლქო ექიმი ბარსკი, ქუთაისის საავადმყოფოს დირექტორი თოფურია, ბ-ნნი სტოიანოვი, ტატარინოვი, ბაქრაძე, ტომარა, თავ. ანდრია ერისთავი და პ. მარეცკი. ტფილისის ოლქის სასამართლოს საპატიო მოსამართლეებად დაინიშნენ: თავად-აზნ. მაზრის წინამძღოლნი: გორისა-თავ. ბაგრატიონ-დავითაშვილი, სიღნაღისა—თავ. შალიკაშვილი, თელავ-თიონეთისა—თავ. ჩოლოყაშვილი, ტფ. საოსტატო ინსტიტუტის დირექტორი სტრელეცკი, ტეხნიკოსი მთავარ-მართებელთან ნოვომეისკი, მიწის მზომელთა სასწ. უფროსი კაზაკევიჩი, სამოსწავლო ოლქის საოლქო ინსპექტორები: ლოპატინსკი და სლოვინსკი, სადლეხო საქმეთა საკრებულოს საქმის მწარმოებელნი: ვეიდენბაუმი, ბარანოვსკი და ტებენკოვი, წყალთა ოლქის იურისკონსულტი კოლჩევსკი, ქედათა ინსტიტუტის ინსპექტორი მელლერი, ტფ. საგუბერნიო ექიმი ქიქოძე, თავად-აზნაურთა დეპუტატი სავანელი, აბასთ. სამკურ. წყლების დირექტორი გოპაძე, ტფილ. ქალაქის მოურავი თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, საგუბერნიო ინჟინერი ტატიშჩევი, მომრიგებელნი შუამავალნი: ბორჩალოსი—თავ. ანდრონიკაშვილი, გორისა—თავ. შალიკაშვილი, თელავის სასულიერო სასწავ. ზედამხედველი სოგინი, ბ-ნნი ბახმეტევი, ზეიდლიცი, ზისერმანი, თავადნი ერისთავი, კონს. ამირაჯიბი, ნიკ. თუმანიშვილი, ი. ჭავჭავაძე და ბ-ნი ალექსანდრე მანთაშოვი.

ცნობილი არქეოლოგოსი **ბარონ დე-ბაი** უკვე დაბრუნდა ტფილისში. როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, ბ-ნი დე-ბაი ამ ხელად გაემგზავრა აფხაზეთის სანახავად. სოხუმის გარდა დაუთვალიერებია დიდებული ტაძარი დრანდისა, ფსირცხის მონასტერი, გუდაუთა, იქიდან გაუვლია შუაგულ აფხაზეთზე გაგრამდე, ანუ აფხაზეთის დასავლეთ საზღვრამდე. ბარონ დე-ბაის შეუკრებია აფხაზთა შესახებ საეტნოგრაფიო მასალა და ამასთან მრავალი ფოტოგრაფიული სურათი გადაუღია აფხაზებისა. ბარონ დე-ბაი ტფილისში ერთ კვირას დარჩება და მერე საფრანგეთს გაემგზავრება.

✦ ტფილისის გუბერნატორის წინადადების თანხმად, გუშინ სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას **სია იმ მოხელეებისა**, რომელნიც მსახურებენ სამკურნალო, საბეითლო, სასანიტარო და საფარმაცევტო ნაწილში. ამ მოხელეებს ამას წინად კრება ჰქონდათ. კრებამ სასურველად იცნო გამგეობამ შუამდგომლობა აღძრას, რომ იმათ სახელმწიფო სამსახურის უფლებანი მიენიჭოთ.

✦ ტფილისის ქალაქის სამხედრო საკრებულომ გუშინ, 23 ოქტომბერს, დაამთავრა შემოწმება და გაზომვა იმ ყმაწვილ კაცებისა, რომელნიც წელს **ჯარში უნდა გაიყვანონ.** დაბარებული იყო 660 კაცი, გაიყვანეს 159 კაცი. ახლად გაწვეულთ დაათვლებენ 29 ოქტომბერს, ხოლო 6 ნოემბერს ჯარში ჩარიცხავენ.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებამ ჩრდილოეთ **ამერიკის ქალაქ** ფილადელფიიდან მიიღო სანიმუშოდ აგური. ამ აგურით ბევრგან ამერიკაში ქუჩებია მოკირწყლული და ძალიან დიდ ხანსა სძლებს. ამ აგურის ოთხკუთხ საჟენის გადმოზიდვა ტფილისში ეღირება 150 მან.

✦ მოგვივიდა **ახალი წიგნი** რუსულს ენაზე: „სამეგრელოს პირველ დაწყებით სკოლის შესახებ“, ვარიანელისა. ეს ფრიად საინტერესო თხზულება პირველად „პეტერბ. ვედომ.“-ში დაიბეჭდა.

✦ ორენბურგის სახლების ბუხრების მწმენდელ რაზმის უფროსმა კაზიმირ აუერბახმა სთხოვა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, ნება მისცენ მოაწყოს ტფილისის ცეცხლის მქრობელ რაზმთან **ბუხრების მწმენდელთა რაზმი.**

✦ ქუჩების საუკეთესო სისტემით **მომკირწვლელმა კომისიამ** დაადგინა ეხლავე შეუდგნენ ანასტასიის ქუჩის მოკირწვლას. სიმფეროპოლის ქალაქის გამგეობამ აცნობა კომისიას, რომ ის ასფალტია საუკეთესო, რომლითაც ამ ქალაქის ქუჩებია მოკირწყლულიო. კომისიამ დაადგინა, საცდელად მოკირწლოს ამ ასფალტით ქუჩა. ამავე კომისიამ 21 ოქტომბერს განიხილა ბ-ნ ხატისოვის მოხსენება, რომელიც შეეხებოდა ქუჩების მოსაკირწლავ მასალას. ხატისოვის აზრით, მოსაკირწლავად საუმჯობესოა მთის მუხისაგან დამზადებული კუბიკები. ამ საგნის დაწვრილებით შემუშავება კომისიამ მიანდო იმავ ხატისოვსა და ინჟ. ალხაზოვს.

✦ გუშინ-წინ ტფილისის ქალაქის ხუროთმოძღვარმა შეატყობინა საამშენებლო განყოფილებას, რომ პოლიციის მე-2 ნაწილში, „კრუგოკის“ გვერდზე, ქალაქის მეცხოვრები მდივანი თავის სახლს ადგამს მეოთხე სართულსაო. სართულის კედლების ერთი ნაწილი შენდება მდივნის ადგილზე, ხოლო ერთი ნაწილი ქალაქის სახლის კედელზე. ქალაქის სახლის კედელი იმდენად სუსტია, რომ დიდ სიმძიმეს ვერ აიტანს და შესაძლებელია ჩამოინგრესო. გამგეობამ ეს გარემოება აცნობა გუშინ პოლიციის 2 ნაწილის ბოქაულს და დაავალა შენების შეჩერება.

◆ 22 ოქტომბერს, ღამე, პოლიციის მე-6 ნაწილში ყული-ირზა-ყულიევის ყავახანაში რაღაცაზედაც ლაპარაკი მოსვლიათ ტფილისის მოქალაქეს სარიბეკოვს, ვანო და სიკო კაპანაძეებს და ბაღდასარ ავეტისოვს. ლაპარაკს ჩხუბი მოჰყოლია, რომლის დროსაც სარიბეკოვს უძგრია ბებუთი და დაუჭრია ვანო და სიკო კაპანაძეები თავსა და ზურგში, ხოლო ავეტისოვი მარცხენა ხელში. დამნაშავე დააპატიმრეს. დაჭრილები მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს შემწეობის აღმოსაჩენად.

◆ 22 ოქტომბერს, დღით, ერევნის მოედნის კუთხეში, სუმბათაშვილის სახლში მცხოვრებთა ერთ ოთახში გაუფრთხილებლობისა გამო ცეცხლი გაჩენილა. ცეცხლის გაჩენა მალე შეუტყვიათ და მალევე ჩაუქრიათ.

◆ ნიჟეგოროდის ქალაქის გამგეობამ სთხოვა ტფილისისას გაუგზავნოს ერთი ცალი იმ სავალდებულო დადგენილებათა, რომლითაც მოწეს-რიგებულია ქალაქში მკვდარ პირუტყვების ლეშის გაზიდვა.

შინ და გარედ

26.

მეტად სამწუხარო ამბები მოდის დასავლეთ საქართველოდან!

როგორც იწერებიან და ნამდვილად ამბობენ, შეუბრალებელი შიმშილი მოელის მთელს ქვემო იმერეთს, გურიასა და სამეგრელოს უდიდეს ნაწილს.

სოფლის მეურნეთ დიდი უბედურება სწვევიათ წვიმისა, ქარისა და... პეპლისაგან. გამუდმებულ წვიმას ზაფხულის ბოლოს და შემოდგომაზე დაუწყია მოსავლის განადგურება. თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში ზაფხულის უკანასკნელ თვეში და შემოდგომის დასაწყისს ცას არ გადაუღია, ზოგან ახლაც წვიმს თურმე; ამ წვიმამ დაალპო მოსავალი. შემდეგ ატეხილა ქვემო-იმერეთის გამანადგურებელი ქარი და სრულიად ჩამოუყრია ხილი. ასე რომ წვიმასა და ქარს მოუსპია იმერელ სოფლის იმედი სიმინდსა და ხილზე. ესეც არ აკმარა სასტიკმა ბუნებამ ბედკრულ ხალხს და საშინელი მტერი მოუვლინა: რაც სიმინდისა და პურის ხორბალი ჰქონდა მეურნეს—ძველი თუ ახალი—პეპლად იქცა და გაფრინდა! ეს მტერი ახალი არ არის დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ისეთის ძლიერებით, როგორც წელს, იერიში არასოდეს არ მიუტანია სოფლის მეურნეზე.

როგორც ამბობენ, ხალხი დიდათ შეწუხებულია თურმე და შიშით მოელის ხვალინდელ დღეს. უბედურება ის არის კიდევ, რომ წელს, სხვა-და-სხვა აგრარულ მიზეზებისა გამო, დასავლეთ საქართველოში შესამჩნევად შემცირდა თურმე დამუშავებული ადგილ-მამულის სივრცე და ხალხს ისედაც მცირე სარჩო მოუვიდოდა, სტიქიონის მძვინვარებაც რომ არ ყოფილიყო.

რა ეშველება დამშეულ ხალხს? ვინ მიაწვდის დახმარებას? უბედურებაც ის არის, რომ ჩვენი სოფელი ამგვარ შემთხვევაში სრულიად უმწეოდ არის დატოვებული. რუსეთში ასეთი შიმშილობა ხშირი სტუმარია და ხალხი დიდ გაჭირვებაში ვარდება; მაგრამ ცოტად თუ ბევრად შემწეობას მაინც იღებს ერობისაგან. საზოგადოდ, იქ, შიდა-რუსეთის გუბერნიებში, ხალხის გამოკვების საქმეს რაიმე ორგანიზაცია მაინც აქვს. ისიც დიდი საქმეა, რომ მთავრობაც და საზოგადოებაც ტყობილობენ მაინც—სად რამდენი ხალხი დაიმშა, სად როგორი დახმარებაა საჭირო. ჩვენში-კი ამასაც ვერავინ გაიგებს ხეირიანად. ერობა არ არსებობს, ადგილობრივი ადმინისტრაცია დატვირთულია ათასგვარ საქმით; ხოლო რა ყოფაშია ხალხი, როგორ უძლებს მოუსავლობასა და შიმშილს, ამისთვის თავი არავის შესტკივა...

ეს პეპელა მაინც რაღა ღვთის რისხვაა?! ნუ-თუ ამ მტერს გამკლავება არ უნდა? მახსოვს, რამდენისამე წლის წინად ახალქალაქისა თუ ახალციხის მაზრის ორიოდე სოფელში რაღაც „გოტენტოტური ბაღლინჯო“ გაჩნდა და მოსავალს ანადგურებდა. მაშინ ყური გამოგვიჭედეს ამ ბაღლინჯოს ამბებით და აგრონომების მთელს რაზმებს გზავნიდნენ ბრძოლის ველზე. ახლა რაღას ჰნიშნავს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების და სხვათა სიჩუმე? რითი იყო, ნეტავი, იგი ბაღლინჯო ჩვენს პეპელაზე მეტის ყურადღების ღირსი?..

გან

რუსეთის ქრონიკა

◆ საერო განათლების სამინისტრომ გამოსცა განკარგულება, საშუალო და სამოქალაქო ოთხ-კლასიან სასწავლებლის მასწავლებელთ მოუმატონ 20 პროცენტი არსებულ ჯამაგირისა.

◆ როგორც „ნოვოსტ“-ს ატყობინებენ, ლომჟის გუბერნიიდან დიდძალი ებრაელი იხიზნება. უმეტესობა გადახლებულთა შეერთებულ შტატებში მიდის. როგორც თვითონ ებრაელები ამბობენ, მიზეზი გადასახლებისა სიღარიბე არის, მაგრამ ნამდვილად უფრო შეძლებულნი, ჯანმრთელნი და ღონიერნი მიდიან, ძლიერ ღარიბნი, მოხუცებულნი, ავადმყოფნი და სუსტნი-კი რჩებიან.

◆ ამ ბოლო დროს რუსეთის გუბერნიებში ძლიერ გამწვავებულია დამოკიდებულება გლეხებსა და მემამულეებს შორის. რუსულ გაზეთების ისეთ ნომერს ხელში ვერ აიღებთ, რომ შიგ რომელიმე გუბერნიიდან ამბავი არ იყოს მემამულეთა და გლეხთა შორის მომხდარ შეტაკების შესახებ. გლეხები უმეტეს ნაწილად პირდაპირ შეტაკებას გაურბიან, მაგრამ ყოველ შემთხვევით სარგებლობენ, რომ დაგუბებული მტრობა და სიძულვილი გამოუცხადონ მემამულეებს. უფრო ხშირად სცდილობენ, ჩუმად რაიმე ზარალი და ვნება მიაყენონ. გაზეთს „ვოლინ“-სა სწერენ კოველის მაზრიდან, რომ აგრარიული დამოკიდებულება ძლიერ გამწვავებულია ჩვენს სოფლებშიო. ს. ბუცინაში მოთმინებიდან გამოსულმა გლეხებმა ჩუმად ერთის მემამულის კ.—ს ბელელს სამი მხრით წაუკიდეს ცეცხლი, რომელიც შემდეგ სხვა შენობებსაც მოსდებია და ძლიერ დიდი ზარალი მიუყენებია მემამულისათვის.

◆ როგორც ვილნოს ადგილობრივ გაზეთები იუწყებიან, ვილნოში განკარგულება მოუხდენიათ, რომლის ძალითაც აკრძალულია სათადარიგო ჯარის ოფიცრებისათვის საზღვარ-გარედ სამგზავრო პასპორტის მიცემა. განცხადება გამოწვეული უნდა იყოს შორეულ აღმოსავლეთის ამბებითაო, დასძენენ გაზეთები.

◆ სარატოვის ადგილობრივ გაზეთების ცნობით, საერობო უფროსს ბ-ნ ევროპეუს დეპეშა გაუგზავნია ნოვოუზენსკის მაზრის ისპრავნიკისათვის და მოუთხოვნია 60 პოლიციელი სლობოდაში წეს-რიგის დასაცავად, რადგან უწესოებას მოელიან. ამასთანავე საერობო უფროსი აცნობებს, თუ ვინიცობაა ჩემი თხოვნა არ შეასრულეთ, მაშინ იძულებული ვიქნები გუბერნატორს მივმართოო.

◆ გზათა სამინისტროში აღუძრავთ საკითხი, რომ რუსეთის რკინის გზებზე მოსამსახურეთ უბედურ შემთხვევით სიკვდილისა და დასახიჩრებისათვის საზღაური უსათუოდ პენსიის სახით ეძლეოდეთ.

◆ ტვერის უკანასკნელი საერობო არჩევნები არა ჩვეულებრივად დაბოლოვებულა. პირველ საარჩევნო კრებაზე 29 მაისსა და, და შემდეგ მეორე კრებაზე 23 აგვისტოს აურჩევიათ მარტო 7 ხმოსანი, რადგან ხმოსანთა ასე მცირე რიცხვით აკრძალულია საერობო კრების გამართვა, შინაგან საქმეთა მინისტრს კანონის ძალით შეუძლიან ნება დართოს ძველ, უკვე ვადა გასულ ხმოსნებს დარჩნენ ხმოსნებად ახალ სამი წლის განმავლობაში. მინისტრს ნება არ დაურთავს და საქმე ისე არ გადაწყვეტილა, როგორც საერობო დებულება თხოულობს. ხელმწიფე-იმპერატორმა ინება და ბრძანა, რომ ტვერის მაზრაში არჩეულ ხმოსანთა რიცხვი საკმარისათ სცნონ საერობო კრების გასამართავად.

◆ 23 ოქტომბერს ქ. ლუგანსკაში ხარკოვის სამოსამართლო პალატის სესსია განიხილავს კონსტანტინოვში მომხდარ არეულობათა საქმეს. პასუხის გებაში მიცემულია 33 კაცი. ბრალდებულთ დაიცავს ნაფიცი ვექილი ნ. ა. დობრიანსკი. დაბარებულია 83 მოწმე. ამათგან 32 კაცი დამნაშავეთა მხრივ და 51 კაცი ბრალმდებელის მხრივ. ბევრი მოწმე ამ ჟამათ ბელგიაში იმყოფება, სადაც უწყებები უკვე გაუგზავნეს. ეს საქმე 1902 წელს განიხილეს, მაგრამ ბრალმდებელმა საქმე განასაჩივრა. სენატმა სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და ახლა მეორედ ირჩევა ეს საქმე წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

◆ 14 ოქტომბერს პეტერბურგში სასამართლომ ხელახლად განიხილა ბ-ნ ჩერმანის საქმე, რომელმაც „ნოვოე ვრემია“-ს რედაქტორს ბულგაკოვს მათრახითა სცემა. მოწმეთ დანიშნული იყო მიხ. სუვორინი. სასამართლომ ჩერმანს სასჯელი შეუმსუბუქა და 7 დღის მაგივრად 4 დღით დატუსაღება გადაუწყვიტა.

◆ 17 ოქტომბერს კიევის ოლქის სასამართლომ დაიწყო განხილვა ქალაქის წყლის მილიდან წყლის მოპარვის საქმისა. პასუხისგებაში მიცემულნი არიან ხმოსნად და წყლის მილის კომისიის თავმჯდომარედ ნამყოფი მდიდარი ინჟენერი პოზნიაკოვი, აბანოს მემანქანე ფლიმერმანი და მუშა რაზორენოვი. ამათ ჰბრალდებათ ქალაქის წყლის მილიდან წყლის პარვა. წყალს იპარავდნენ მთელის ექვსის წლის განმავლობაში ხსენებულ ხმოსნისა და კომისიის თავმჯდომარისთვის.

პატარა ფელეტონი

რა ვუყოთ, რომ...

სწორედ საკვირველია ზოგიერთ კაცის დაჟინება! გინდა თუ არა, ყველას კრიჭაში ჩაუდექი

ფელეტონი

მაქსიმ გორკის თანამგზავრი

მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინად ჩვენის გაზეთის დამატებაში დაიბეჭდა ბ-ნ გიუნაშვილის მიერ თარგმნილი რუსთა ახალგაზდა მწერლის მაქსიმ გორკის „ჩემი თანამგზავრი“. ისიც ეხსომებათ, რომ მოთხრობაში გორკის თავის თანამგზავრად გამოჰყავს ქართველი კაცი, თავადი შაქრო ფთაძე. როდესაც დამატებაში ამ მოთხრობის ბეჭდვა დამთავრდა, ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ერთი უცნობი კაცი, გვარად ს—ძე, ხოლო ხელობით რკინის გზის კონდუქტორი, რომელმაც გამოგვიცხადა, მე ვარ გორკის თანამგზავრიო. ამ კაცს მაქსიმ გორკის სახელი არასოდეს არ გაეგონა. პირველად გორკის ნაწერი ჩვენს დამატებაში წაეკითხნა და როდესაც რედაქციაში შემოვიდა, ეს გვკითხა: მოთხრობა ალექსეი პეშკოვის დაწერილი ხომ არ არისო. ბ-ნ ს—ძეს შინაარსით ეცნო მოთხრობის ავტორი. ბ-ნი ს—ძე ესე ოცდაათის წლის კაცია, შაქრო არა ჰქვიან და არც თავადია. მოთხრობაში ბევრი მართალია და ბევრი სრულიად სიმართლეს მოკლებულიაო, გვითხრა ბ-ნმა ს—ძემ. აი, სხვათა შორის, რა გვიამბო გორკისთან მოგზაურობის შესახებ:

„პეშკოვი გავიცანი ოდესაში, სადაც მე სრულიად შემთხვევით მოვყევი. ბათუმში ამხანაგმა ნივთები მომპარა და ოდესაში წავიდა. მე უკან გამოვუდექ, მაგრამ ქურდი ოდესაში ვერ აღმოვაჩინე. გავიდა ორიოდე დღე და ფული სულ შემომეხარჯა. გზის ფულს ვიღა სჩიოდა, პურისთვისაც აღარაფერი გამაჩნდა. ღამეს ბაღში ვათევდი, სადაც ჩუმად გადავძვრებოდი ხოლმე. ბოლოს გადავსწყვიტე, ასე თუ ისე გემში ჩაჯდომა და ბათუმისაკენ წამოსვლა. ამ აზრით ნავთსადგურში წაველ და განმარტოვებით დავდექ. თითქმის ორი დღის უჭმელი ვიყავ და ძალზე მშიოდა. ტანისამოსი კარგი მეცვა, თითქმის ახალი, ამასთან ევროპიული და არა ჩვენებური ჩოხა-ახალუხი, როგორც ეს გორკისა აქვს აწერილი. ამ დროს ჩემთან მოვიდა ზორბა, მაგრამ ძველ და დაგლეჯილ ტანისამოსში გამოწყობილი კაცი, რომელმაც შაური მთხოვა. მე გამეცინა, თითონ მშიერი ვიყავ და ეს-კი ფულსა მთხოვდა. ჩემი ამბავი გადავეცი. ბოლოს ერთმანეთი გავიცანით. ახალი ჩემი ნაცნობი პეშკოვი გამოდგა, ნიჟნი-ნოვგოროდელი. პეშკოვი ესე 22-23 წლისა იქნებოდა, ზორბა ტანადობისა, მაღალ-მაღალი, მხარ-ბეჭიანი. მე იმ დროს 18 წლისა ვიყავ. ეს ამბავი მოხდა 1891 წელს. როგორც შემდეგ მიამბო პეშკოვმა, ოდესაში ხარკოვიდან ჩამოსულიყო ფეხით. ხარკოვში, გზად გამოვლის დროს, ერთ მონასტერში ჩამომხტარიყო, სადაც ორ „სტრანნიკს“ გაეძარცვა და ცარიელ-ტარიელი დაეტოვებინა.

„იმ დღეს, რა დღესაც ერთმანეთს შევხვდით, ორივენი მშივრები ვიყავით. მე ერთი „ტროსტი“ მქონდა, პეშკოვმა გამომართო ეს ტროსტი, გაჰყიდა 30 კაპეიკად და პური იყიდა. ღამე ბაღში გავათიეთ. მეორე დღეს სამუშაო უნდა გვეშოვნა, მაგრამ ვერა ვიშოვეთ-რა. ამიტომ გადავწყვიტეთ ნიკოლაევში წასვლა. ფული, რასაკვირველია, არ გაგვაჩნდა. ერთი ფრანგული ფული მქონდა, საათის ძეწკვზე ჩამოსაკიდებელი. ოდესიდან წასვლისას, პეშკოვმა ეს ფულიც 30 კაპ. გაჰყიდა. პირველ ხანს ამით ვიკვებებოდით, მერე პეშკოვი თხოვნას შეუდგა. ოდესიდან 18 აგვისტოს გავედით, შუადღის 12 საათზე. ნიკოლაევამდე შვიდი დღე ვიარეთ. ვერც იქ ვიშოვნეთ სამუშაო. აქ გვითხრეს, ხერსონიდან ეხლა გემი გადის ბათუმში, თუ ჩაუსწრებთ, ის წაგიყვანთ სამადლოთაო. წავედით, მაგრამ ვერ ჩაუსწარით. ხერსონში გორკიმ ჩემი პალტო გაჰყიდა 3 მ. 50 კაპ. აქ გვითხრეს, სიმფეროპოლში ბევრი სამუშაოაო. ჩავედით, მაგრამ სამუშაო ვერც იქ ვიშოვნეთ. ბოლოს პეშკოვმა მირჩია. კავკასიაში ფეხით წავიდეთო. ასეც მოვიქეცით. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ პეშკოვი ყოველთვის კარგად მექცეოდა. ხშირად მეუბნებოდა, შენ გაჭირვებას არა ხარ შეჩვეულიო. როდესაც ცოტა საჭმელი გვქონდა, მეტს მე მაძლევდა. საზოგადოდ, მთელ მგზავრობის განმავლობაში კარგის მეტი არა მახსოვს-რა იმისაგან. ბევრი განსაცდელი და წვალება გამოვიარეთ. ერთ ადგილას გზა დაგვეკარგა და უდაბურ ტყეში მოვყევით. დაგვესივნენ გარეული ღორები; ძლივს აუსწარით ხეზე. იქ ვისხედით მშიერ-მწყურვალნი, სანამ ღორები გაიფანტებოდნენ. იალტაში რომ ჩავედით, ძალზე მშივრები ვიყავით. საბედნიეროდ, პეშკოვმა ქუჩაში სამ კაპიკიანი იპოვნა, იყიდა პური და იმით შევნაყრდით. დაღლილები და დასუსტებულები ვიყავით, გადავსწყვიტეთ, გემზე დავმსხდარვიყავით და ასე გაგვევლო მცირე მანძილი მაინც. ასეც მოვიქეცით: დავსხედით უბილეთოები გემზე. როდესაც ზღვაში გავედით, გაიგეს, რომ უბილეთოები ვიყავით. კაპიტანმა მთელი საათი გვლანძღა. მაგრამ რას გვიზამდა, ზღვაში ხომ ვერ გადაგვაგდებდა. ბოლოს დაუყვირა უფროსს ზღვაოსანს, შეიყვანე ესენი გემში და ამუშავეო. როდესაც ამ ზღვაოსანმა პალუბიდან გემში ჩაგვიყვანა, გვითხრა, როგორ ამოხვედით უბილეთოებიო. ჩვენც ვუამბეთ ჩვენი თავ-გადასავალი. ახალი ნაცნობი ღვთისნიერი კაცი გამოდგა. მუშაობის ნაცვლად თავის ოთახში შეგვიყვანა, გვასვა, გვაჭამა და კარგად გამოგვაძინა. ასე და ამ რიგად ჩავედით თეოდოსიას, სადაც აგვიღეს და გემიდან გადმოგვაბრძანეს. მთელ ჩვენ მგზავრობის დროს ეს გემით მოგზაურობა საუკეთესო ხანა იყო. თეოდოსიაში პეშკოვმა ჩემი „პოლცილინდრი“ გაჰყიდა, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, გახცვალა ძველ ქუდზე და ზედ-მეტი ფულიც აილო. ზღვის ნაპირად, საავარაკო ადგილებში ხელს გვიმართავდნენ სასტუმროს მზარეულნი: გვაჭმევდნენ და გვასმევდნენ. ერთ ადგილას სამი შაურიც მოგვცეს. კერჩში ხიდ-ქვეშ გავათიეთ ღამე. ნავი არ მოგვიპარავს, როგორც მოთხრობაშია ნათქვამი. ტამანში ნავები იდგა. ფქვილის ტომრები უნდა გადაეტანათ. ტომრების დატვირთვა ვუშველეთ, ამიტომ დაგვსხეს ნავებზე და გადაგვიყვანეს. ერთ მდინარეში, რომლის სახელიც არ მახსოვს, ფეხით გავედით. მდინარე ძალიან განიერი იყო და თითქმის გაჩერებული. დილის 4 საათზე ჩავედით წყალში და ნაშუადღევს ძლივს გავახწიეთ. ზოგან ღრმა იყო, ზოგან წელამდე გვწვდებოდა. გაღმა მეთევზეები იყვნენ. ძალიან კარგად მიგვიღეს: გვასვეს და გვაჭამეს. აქ იყო, ძაღლები რომ დაგვესივნენ. აქვე იყო, ცეცხლზე რომ ლეკური დავუარე. ეკატერინოდარს ქვემოდ ოსებმა დაგვიქირავეს სიმინდის სამტვრევად. ჩვენთან ერთად ორი სხვა „ბოსიაკიც“ იყო. შუა დღისას სადილად ხორციც მოგვიტანეს. გემოსა და ფერზე შევატყე, რომ ხორცი ცხენისა იყო. როდესაც ეს ამბავი ჩემს ამხანაგებს გადავეცი, წამოხტნენ ყველანი და გამოუდგნენ მასპინძელს, რომელმაც ტყისაკენ მოჰკურცხლა. ერთ ადგილას მე და პეშკოვს ძალიან შეგვცივდა. რკინის გზის ლიანდაგით მივდიოდით. ერთი ღერი შეშა ვერსად ვიპოვნეთ, რომ ცეცხლი დაგვენთო. ბოლოს მივადექით ტელეგრაფის ერთ ბოძს, რომელსაც დასამაგრებლად მეორე პატარა ძველი ბოძი ჰქონდა მიდგმული. გადმოვიღეთ პატარა ბოძი, ცეცხლი გავაჩაღეთ, აქეთ-იქიდან მოვუჯექით და დავიძინეთ. თურმე ისეთი კოცონი დამდგარა, რომ ალი ტელეგრაფის მავთულებს სწვდებოდა. მატარებელს გაევლო. ერთი ალიაქოთი ამტყდარიყო. სადგურიდან ჟანდარმები გამოეგზავნათ. დაგვიჭირეს და სადგურში წაგვიყვანეს. მე და

და ნაკლულევანება ამხილეთ, უსამართლო ეოფაქცევა დაჰგმეთ, ცუდ-კაცობა აძაგეთ, უგანონობა... მაგრამ რომელი ერთი მოვთვალოთ? იმათი ლექსიკონი ამგვარის უმნიშვნელო საგნებით ისეა გაჭიქნული, თითქო სირაჯის მიერ სარგებლის სარგებელში წამოდებული რუმბიაო.

აი, თუნდა ჩვენი „დრამატიული საზოგადოება“ ავიღოთ: რა ვუყოთ, რომ ძველი, დახავსებული და უაზრო პიესებით გვკვებავს? ნათქვამია: „შეჩვეული ჭირი სჯობიაო“ და იგიც ამ ბრძნულ ანდაზითა სარგებლობს ეგეც არ იყოს, თეატრში მოსიარულე საზოგადოების აგებულება იმდენად სუსტი და მოუმზადებელია, რომ ახალ საჭმელს (იგულისხმე ახალი პიესები) ვერ მოინელებს, კუჭის ავადმყოფობა დაემართება და ამგვარად ჩვენი „დრამატიული საზოგადოება“ თავისდა-უნებურად „დიდ უბედურობის“ მიზეზი შეიქმნება. ან და ახალ პიესებისათვის თავი რად უნდა გაიცხელოს, როდესაც ჩვენმა არტისტებმა ძველი პიესები სულ „წყალივით“ იციან და ხალხიც საკმაოდ დაიარება? ვინ უწყის, იქმნება ეს უკანასკნელი გარემოება უფრო რეჟისორის ავტორიტეტობითა და ჩინებულ დასით აიხსნება, მაგრამ განა სულ ერთი არ არის, რითაც უნდა აიხსნებოდეს, ოღონდ ხალხი ბლომად დაიარებოდეს და შემოსავალი დიდი იყოს? მართალია, შეიძლება მარტო რეჟისორის ავტორიტეტობამა და დასის ღირსებამ ხალხი დიდ-ხანს ვერ დააკმაყოფილოს და ბოლოს აზრიანობა და „სულის საზრდოც“ მოათხოვნინოს, მაგრამ ერთი მიბრძანეთ—რა არის ეს რაღაც „სულის საზრდო“? ეს ხომ მოცლილ ხალხის მოგონილია!..

რა ვუყოთ, რომ ჩვენის მწერლების თხზულებებით თაგვები უფრო სარგებლობენ, კუჭს იძღობენ და თვით მწერლები-კი მშივრები დაიარებიან? თაგვიც ხომ სულიერი არსებაა, მაშასადამე, იმასაც საზრდოობა უნდა. ამიტომ თუ არ მწერლებმა (ერის ამ საუკეთესო ნაწილმა), მაშ ვინ უნდა იზრუნოს თაგვების საკეთილდღეოთ? მართალია, ჩვენის ერისათვის ეს გარემოება არც თუ მაგდენად სასახელოა, მაგრამ წიგნების კითხვა მორთვა-მოკაზმვა ხომ არ არის, რომ ადამიანმა თავი გამოიჩინოს, ან კიდევ „საქართველოს გაუმარჯოს!“ ძახილი ხომ არის, რომ „ვაშა, ვაშა“ დაიმსახუროს?

რა ვუყოთ, რომ ზოგიერთი ჩვენი მწერლები პლაგიატობენ და უცხო მწერლების ნაწარმოებს თავისად ასაღებენ? მოხერხებული ქურდობაც ვაჟკაცობააო, ნათქვამია, ამიტომ აქ დასაძრახი არაფერია. მადლობა ღმერთს, ჩვენი მკითხველი საზოგადოება იმდენად განვითარებული არ არის, რომ ცოტა მოშორებით რამის გარჩევა შეეძლოს. მართალია, ზოგიერთს ყველა ეს კარგად ესმის, მაგრამ ხსენებული მწერლები ამ „ზოგიერთებისათვის“ ხომ არა სწერენ?

რა ვუყოთ, რომ ჩვენი გლეხობა ყოველ მხრივ, გონებრივად თუ ქონებრივად, დაბეჩავებულია? ასე რომ არა ყოფილიყო, ხომ გლეხებიც აღარ იქნებოდნენ! მოცლილები გაიძახიან: მრავალმა გადასახადმა წელში გასწყვიტა, სწავლა-განათლებაზე ვეღარ უფიქრიაო. საკვირველია! თუ არ გლეხმა, მაშ ვინ უნდა იხადოს? ხარჯიც რომ ბობოლებს ეხადნათ, მაშ დროება ვიღას უნდა ეტარებინა? ხალხის ნაშრომ-ნადვაწით ვიღა უნდა დამტკბარიყო? გონებით ბრმები არიან, სწავლა-განათლება ეჭირვებათო. სწორედ სათცარი ლოდიკაა! გონებით ბრმები რომ არ ყოფილიყვნენ, მაშ ჩვენი ყმები როგორღა იქნებოდნენ? ან კიდევ სწავლას რაღა თავში იხლიან? იმ თავით ამ თავამდე თუ-კი იოლად წასულან, ეხლა ვითომ რა ამბავიაო, რომ სწავლა ეჭირვებოდეთ? ესეც რომ არ იყოს, იმათთვის დაარსებული სკოლები ცოტაა? მაგრამ ვისი ბრალია, თუ-კი ვერ უშვნევიათ? ცოტაა მაგალითი, რომ სკოლის დაარსება სდომნოდეთ და გლეხობა-კი უარზე დამდგარიყოს? რა ვუყოთ, რომ იმ სკოლებში იმათდა სასიკეთოს არაფერს ასწავლიან, არც იმათ სამშობლო ენას. სწავლის საქმეც უკუღმართს ნიადაგზეა დამყარებული, იქ ნამყოფებმა არაფერი იციან და თუ ორიოდეს რამე უსწავლია, ისიც არც სულს არგია, არც ხორცს, პირიქით, თავიანთისავე მოძმის მეტ ბარგად ხდებიან და ტყავის გაძრობის მეტს არას აკეთებენ... მაგრამ ყველა ეს ვისი ბრალია, თუ არ თვით იმავ გლეხებისა, რადგან მათს აგებულებას „ჭეშმარიტი სწავლა“ ვერ უშვნევია...

რა ვუყოთ, რომ კახეთის თავად-აზნაურობა ვალად აღებულ ფულს უბრალოთა ჰფლანგავს და ბანკში შესატან გარდასახადზე აღარას ფიქრობს? ან-და რად უნდა იფიქროს? ფიქრი ხომ ქეიფს ხელს უშლის და დალოცვილი კახურიც ისე გემრიელად აღარ ისმება! ვალიო! ვალი რა საფიქრებელია? მაშ „კახეთის“ საზოგადოება რისთვის არის დაარსებული, თუ ვალისათვისაც თავებს ისინი გაიცხელებენ? რა ვუყოთ, რომ ამ გვარმა შეხედულებამ შეიძლება „საზოგადოებას“ ძირი გამოუთხაროს? რა დაშავდება? ვიდრე არსებობს, ხომ იმათ ვალებს გაისტუმრებს და ფიქრისთვის მერეც მოიცლიან. ეხლა-კი ტყუილ-უბრალოდ დროს დაკარგვას „საქართველო ჩვენია“-ს ძახილი უფრო ბევრად სასიამოვნოა, ვიდრე ვილაც მოცლილთა გოდების ყურის გდება...

რა ვუყოთ, რომ... მაგრამ დღეს-დღეობით ამათაც გაკმაროთ, თორემ ამდენმა „რა ვუყოთ, რომ“...-ას ძახილმა შეიძლება მკითხველს თავი მოაბეზროს. მაშ ნახვამდის, ჩემო მკითხველო...

მოცლილი

თეატრი

გუშინ უკვე ვწერდით, რომ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა წარმოდგენების მართვა ქუთაისსა და ფოთში. პირველი წარმოდგენა ქუთაისში გაიმართება დღეს, 24 ოქტომბერს, მეორე კვირას, 26 ოქტომბერს. დღეს წარმოადგენენ „სამშობლოს“, ხოლო კვირას—„სტუმარსა“ და „სიძე-სიმამრს“ ფოთში პირველი წარმოდგენა გაიმართება ხვალ, 25 ოქტომბერს, იქაც „სტუმარსა“ და „სიძე-სიმამრს“ წარმოადგენენ. გამგეობამ გადასწყვიტა ქუთაისსა და ფოთში რამდენიმე კაცი აარჩიოს და იმათ მიანდოს ანგარიშების საქმე.

—

დეკემბერში ტფილისს ჩამოვა წარმოდგენების გასამართავად ვენის საოპერეტო დასი. ამ დასში ცნობილი არტისტები არიან. დასის წარმომადგენელს ერთის კვირით უკვე აუღია ქართული თეატრი დრამატიულ საზოგადოების გამგეობისაგან. ამ ერთ კვირაში ქართული წარმოდგენები არ იქნება. გამგეობამ გადასწყვიტა ისარგებლოს ამ დროთი და ოთხი-ხუთი ქართული წარმოდგენა გამართოს ბათუმში.

—

ორშაბათს, 27 ოქტომბერს, სახაზინო თეატრში წარმოდგენილი იქნება, ბ-ნ ფიგნერის მონაწილეობით „რომეო და ჯულიეტა“. წარმოდგენის შემოსავალი დანიშნულია მასწავლებელს და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების სასარგებლოდ.

—

ჭიათურა. 21 ოქტომბერს ადგილობრივ სათეატრო დარბაზში ბ-ნ ნემოს გამგეობით გაიმართა იაფ-ფასიანი წარმოდგენა. ითამაშეს სამ-მოქმედებიანი კომედია „გოგიას საცოლე“ ვ. ლომინაძისა. კარგად შეასრულა სოფლის ბიჭის გოგიას როლი ბ-ნმა ნემომ. არა უშავდა-რა ქ-ნ ბებურიშვილსაც ელისაბედას, „გოგიას საცოლეს“, როლში. ეს არის მხოლოდ, რომ ნამდვილი სოფლის გოგო ვერ დაგვიხატა. დანარჩენთაც არა უშავდათ-რა. შემდეგ დადგეს ლერმონტოვის პოემიდან ცოცხალი სურათები—„დემონი“. დასასრულ რამდენიმე ქართული სცენა წაიკითხა ნემომ. წარმოდგენას საზოგადოება [illegible]ლომად დაესწრო.

ლადო გუბელი.

—

ოზურგეთი. აქაურმა სცენის-მოყვარეებმა 19 ოქტომბერს ჩიქოქიძის სახლში (უწინდელი სამხედრო კლუბი) გაჰმართეს წარმოდგენა. ითამაშეს „ახლანდელი სიყვარული“, კომედია და „უჩინ-მაჩინის ქუდი“, ერისთავისა. „ახლანდელმა სიყვარულმა“ ძლიერ სუსტად ჩაიარა. უკეთ ჩაიარა „უჩინ-მაჩინის ქუდმა“.

ახალ-მოსული

დაბა-სოფლები

ლესიჭინე (სამეგრელო). დადგა შემოდგომა და გახშირდა შინაურ პირუტყვების ქურდობა. ღამე არ გავა ისე, ვინმეს რამე არ დაეკარგოს. თუ ცხენი ან ხარი ეზოს გარედ დარჩა, უეჭველად დაკარგულია. ამ ბოლო დროს გახშირდა სახლ-კარის გადაწვა. დაუწვეს სახლი გიორგი დ—მაის, ყარამან დგებუაძეს. ჩვენში უფრო მეტი ნაწილი შენობებისა დახურულია ისლით (ერთნაირი წვრილი ბალახია, სიგრძით ორ არშინ ნახევარი იზრდება). სხვა რამეთი რომ დახურონ, სახსარი არ არის. ამას ცეცხლი ადვილად ეკიდება და ერთ წუთში იწვის. სახლის პატრონებმა იციან, ვინ დაუწვათ, მაგრამ ვერ ამხელენ და ბოროტ-მომქმედნი დაუსჯელად რჩებიან. მოგეხსენებათ, დანაშაულობა ვისმესი მოწმეების ჩვენებით უნდა ახსნა. მოწმეებმა უნდა სთქვან: ჩვენ დავინახეთ, ამა და ამ კაცმა ცეცხლი რომ წაუკიდაო. აბა, ეს როგორ იქნება! თუ ვინმეს ენახა ცეცხლს რომ უკიდებდნენ სახლს, უთუოდ დაიკივლებდა, კაცს გააგონებდა, ან ავაზაკს დაიჭერდნენ, ან ცეცხლს თავის დროზე ჩააქრობდნენ. მაგრამ ავაზაკი არჩევს იმისთანა დროს, როცა ყველა ძილშია. ამასთან ბოროტ-განმრახველს წინდაწინვე მომზადებული ჰყავს მოწმეები. ცრუ მოწმობა ძალიან ხშირია. ასე თუ ისე, ბევრ სახლს წაუკიდეს ცეცხლი, მაგრამ ვერავინ დაიჭირეს. ამან უფრო გაათამამა ბოროტ-განმზრახველნი. სახლების დაზღვევა ძნელია, ერთი რომ შეძლება არ არის, მეორე, სოფელში მარტო მღვდლის ან ვინმე მოსამსახურის სახლის მეტს დამზღვევი საზოგადოება არ იღებს. ამას თუ არა ეშველა-რა, სოფელი მეტად შეწუხდება. თუ ვინმემ რამე მოგპარა, თუ გინდ რომ იცოდე ქურდი, ჩივილს ვერ გაჰბედავ, თუ უჩივლე, გეტყვის: რამე რომ მიქნა, სახლ-კარს გადაგიწვავო და მერე ნახავ ვინ იქნება უფრო მოგებულიო. ეს „ჭირი“ ჩვენში ეხლა-ხან გავრცელდა და თან-და-თან უფრო ძლიერდება.

პეშკოვს გულში გვიხაროდა, გვეგონა, ეტაფით გაგვგზავნიანო, მაგრამ არაფერი გამოვიდა: გამოგვკითხეს საქმე და გვითხრეს, მიბრძანდით, საცა გნებავთო.

„ასე და ამ რიგად კავკავამდე მოვაღწიეთ. ქალის შესახებ მოთხრობაში აწერილი ამბავი ტყუილია. არც ერთ სტანიცაში მე ქალი არ გამიცვნია და პეშკოვისთვის ხუთი მანეთის მოპარვა არ დამიბრალებია. მარმაშის მოპარვის ამბავიც ტყუილია. როდესაც კავკავს გამოვცდით, პეშკოვმა მითხრა, ეხლა შენ ქვეყანაში მოვედით, აბა, წადი და იშოვნე რამეო. მართლაც აქამდე სულ პეშკოვი შოულობდა ფულსაც და საჭმელსაც. დავიწყე მეც თხოვნა, მაგრამ არაფერი გამოვიდა: ზოგმა ლანძღვით გამომაგდო, ზოგმა ძაღლები დამისია. ისევ პეშკოვი შეუდგა საქმეს. მოხერხებული კაცი იყო. აქაც „იამშჩიკებისაგან“ შოულობდა ხოლმე ცოტა რამეს. კავკავიდან ტფილისამდე შვიდი დღე ვიარეთ. დუშეთში თოვლმა მოგვასწრო. დაგლეჯილ თაფლეთილნი ვიყავით, ნამეტნავად გორკი. მგზავრობის განმავლობაში ფეხებზე თითქმის სულ არა ეცვა-რა. ისე გაუსქელდა ფეხის გული, რომ „პოდმეტკები“ გეგონებოდათ. მუხლებ ქვემოდ შარვალი შემოგლეჯილი ჰქონდა და ტიტველი კანჭები უჩანდა. მცხეთაში მამასახლისთან მივედით. ვთხოვე, ღამე გაეთევებინა. ვუთხარი, მე ქართველი ვარ-მეთქი, მაგრამ არც ამან გასჭრა: თქვენისთანა გაწანწალა ათასი დაეთრევაო. ბოლოს იქ ჩაგვსხა, სადაც ტუსაღებს ამწყვდევენ. მეორე დღეს ტფილისისკენ წამოვედით. ჯერ კიდევ ადრე იყო, ვერიდან ტფილისს რომ მოვატანეთ. დღისით შემოსვლა არ მინდოდა, რადგან ნაცნობები მყავდა და შეიძლება შევხვედროდი. ამიტომ შევიცადეთ და შეღამებისას შემოვედით ვერიდან. ვერის ხიდს გავედით და ვოგზლისაკენ გავწიეთ. რკინის გზის სახელოსნოში ჩემი შორეული ნათესავი მსახურობდა სლესრად და იმასთან მივედით. პირველად ვერ მიცნეს: მეცა და პეშკოვიც ალ-ქაჯებსა ვგვანდით თმა გაუკრეჭავნი და ძველ ნაფლეთებში გამოწყობილნი. შემდეგ მიცნეს, შეგვიყვანეს, გვასვეს, გვაჭამეს, ტანისამოსი გამოგვიცვალეს და აბანოშიაც წაგვიყვანეს. პეშკოვს ვიღაც ნაცნობი ჰყავდა რკინის გზის გამგეობაში, მთხოვა მეორე დღეს იქ წავსულიყავით. როდესაც მივედით, პირობა მივეცით ერთმანეთს, რომ იქვე შევხვედროდით, რადგან მე ბაზარში მივდიოდი. დავბრუნდი იქიდან და პეშკოვი ვეღარა ვნახე. ის იყო და ის, ერთი თვე კიდევ დავრჩი ტფილისში, მაგრამ პეშკოვი ვეღარსად ვნახე. მას შემდეგ აღარაფერი გამიგონია ამ კაცზე. ასე რომ მოთხრობის დასასრული, ვითომც მე მოვატყუე პეშკოვი და ვერის ხიდთან მივატოვე, ნამდვილი არ არის“.

ამრიგად, ეს უცნაური და არა ჩვეულებრივი შემთხვევა—მოთხრობის გმირის გამოცხადება—საშუალებას გვაძლევს დავაფასოთ მაქსიმ გორკის თხზულება, რომელიც, ცოტა არ იყოს, საწყენია ჩვენთვის, ქართველებისთვის.

გორკის უსარგებლნია შემთხვევით და ქართველი თანამგზავრი აუწერია. მისის დასურათებით, ეს თანამგზავრი მეტის-მეტად ველური და სულმდაბალი გამოდის. გაიხსენეთ თავად შაქროს სიზარმაცე, სულ ჭამა-სმაზე და ქალებზე ფიქრი, სრული უარყოფა სულიერის ცხოვრებისა და რაიმე იდეალურ მისწრაფებისა; გაიხსენეთ, რომ იგი მუდამ სტყუის, ქურდობს და სხვის შრომით სცხოვრობს; გაიხსენეთ ყველა ეს და თქვენ თვალწინ საზარელი ტიპი დაიხატება. მაქსიმ გორკის არ დაუზარებია და გადაუჭარბებია, რათა მისი გმირის არარაობა და უვარგისობა დაემტკიცებინა. ამისათვის მოგზაურობის ფაქტები თავისებურად გამოუყენებია, დაუმახინჯებია, ზოგი რამ კიდეც შეუთხზავს და როგორი ტიპიც სურდა, ისეთი დაუხატავს.

მაგალითისთვის ავიღოთ თუნდ მოთხრობის დასასრული. თავადი შაქრო გზაში სულ კვეხულობს და ავტორს ჰპირდება: აი, ჩავალთ ტფილისში, იქ ნათესავ-ნაცნობები მყავს და ხელს გაგიმართავო. ხოლო ტფილისში რომ მოვლენ, თავადი შაქრო ვერის ხიდთან დასტოვებს თავის თანამგზავრს და თითონ სამუდამოდ გაიპარება. ნამდვილად, როგორც მკითხველი დარწმუნდა ბ-ნ ს—ძის ნალაპარაკევიდან, საქმე სხვანაირად იყო: ბ-ნმა ს—ძემ მართლა მიიყვანა პეშკოვი თავის ნათესავებთან, ჩააცვა, აჭამა-ასვა, მეორე დღეს რკინის გზის სამმართველოში წაიყვანა, საიდანაც თვით ავტორი გაეპარა ს—ძეს და სამუდამოდ დაშორდა. ნამდვილ ფაქტის ასე გადასხვაფერებით გორკის უნდოდა თავის გმირის ვერაგობა ეჩვენებინა მკითხველისათვის. ასევე ისარგებლა მაქსიმ გორკიმ ამ მოგზაურობის სხვა ეპიზოდებითაც, თავისებურად ახსნა შაქროს ხასიათი, ამისი გულის ნადები და შეჰქმნა ტიპი, რომელსაც მსგავსება აღარ აქვს ნამდვილ თანამგზავრთაგან, ბ-ნ ს—ძესთან.

ჰქონდა თუ არა ავტორს ამისი ნება? რასაკვირველია, ჰქონდა. ბელეტრისტს სრული უფლება აქვს ისარგებლოს ნამდვილის ცხოვრების ფაქტებით, თავის შეხვედრა-ნაცნობობით და სურვილისამებრ გამოიყენოს ყოველივე ეს. იმას, პირიქით, ნება არა აქვს პორტრეტი დაგვიხატოს თავის ნაცნობისა, სრული მისი ცხოვრება დაგვისურათოს. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, პასკვილი დასწეროს ნამდვილ ხელოვნურ მოთხრობის მაგიერ. ბელეტრისტი სრულიად თავისუფალია თავის ფანტაზიით შეაზავოს ნანახი სურათი, თავისი აზრი და სული ჩაჰბეროს ნაცნობსა თუ თანამგზავრს და ამას ვერავინ დანაშაულობად ვერ ჩაუთვლის.

მაქსიმ გორკისაც დანაშაულობას ვერ ვუკიჟინებთ, რომ თავისებურად ისარგებლა შეხვედრით და საზარელი ტიპი დაგვიხატა. მაგრამ „ჩემი თანამგზავრის“ ავტორმა ერთი რამ შესცოდა და მით ღირსები დაუკარგა თავის ნაწარმოებს. რუსი ბელეტრისტი რუსულად სწერს და რუს გმირებს გვიხატავს. ხოლო თუ თავის ნაწარმოებში უცხო ტომის წარმომადგენელსაც გვიჩვენებს, ეს იმიტომ, რომ ალბად განძრახვა აქვს რაიმე განსაკუთრებულ თვისებათა და ნაკლულევანებათა დასურათება, რომელნიც არ მოიპოვებიან რუსებში და უცხო ტომის საკუთრებას შეადგენენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ესე იგი, თუ ავტორი უცხოელს ისეთისავე თვისებებით აჯილდოვებს, როგორიც იმის თანამემამულეთაც აქვს, მისი ნაწარმოები ტენდენციური იქნება და ბევრს წააგებს ხელოვნების მხრივ. მაქსიმ გორკის თანამგზავრი თავადი შაქრო ქართველიც შეიძლება იყოს, რუსიც, თათარიც და ევროპიელიც-კი. ამიტომ, რუს ავტორისათვის სრულიად საჭირო არ იყო, თავისი გმირი ქართველად მოენათლა. ამით მისი მშვენიერი ნაწარმოები ტენდენციური შეიქნა, რადგან მკითხველს ძალა-უნებურად აფიქრებინებს, რომ ასეთი ტიპი მხოლოდ ქართველებშია შესაძლებელიო.

პირველად ჩვენ ბევრ განათლებულ ქართველისაგან გაგვიგონია ამ მოთხრობის ძაგება. მათის აზრით, გორკიმ განზრახ მონათლა თავისი გმირი ქართველად, რათა ველურობა ეკიცინებინა ჩვენთვის. ჩვენის ფიქრით, ეს შემცდარი აზრია. გორკის ოცნებაში, ალბად, წინადაც მკრთალად იხატებოდა შაქროს მსგავსი ტიპი და ამ დროს შემთხვევით შეხვდა ქართველს, რომლის ზოგიერთ თვისებამ მოაგონა ნაცნობი სახე და უფრო ნათლად წარმოადგენინა ტიპი. ამ შემთხვევით შეხვედრამ შეცდომაში შეიყვანა ბელეტრისტი და უცხოელი გმირი აარჩევინა. განა თვით გორკის მრავალი ნაწარმოები არ გვიმტკიცებს, რომ თავად შაქროსთანა „აზიატი“ რუსებშიაც ბევრი მოიძებნება?!

ბიბლიოთეკა

სიმინდის ტეხვა და მილაგება ყველგან გაათავეს. დარჩა მხოლოდ „ლეტაიში“, ეს საყანე ადგილის სახელია, მდებარეობს სოფელ გაშერდში და ეკუთვნის უგან. თავადს მეგრელსკის მემკვიდრეს. იჯარით აქვს აღებული ერთს კაცს. იქნება 500 ქცევა. ამ ადგილის ირგვლივ იმყოფება სოფლები: ლესიჭინე, ოჩხომური, კირცხი, გაშერდი და ზუბი. ამ სოფლების მცხოვრებთა შინაური პირუტყვი სძოვს ლეტაიშის ახლო-მახლო მდებარე ადგილებში. თუ ვისმეს პირუტყვი შევიდა ლეტაიში, იჯარადარი ახდევინებს ერთხელვე დაწესებულ ნიხრს: თითო ცხენსა, ძროხასა და კამეჩზე თითო მანეთს, თხასა და ცხვარზე ნახევარ მანეთს. თუ ვინიცობაა პირუტყვის პატრონს დააგვიანდა საქონლის გამოხსნა, ყოველ სულზე თითო დღეში თითო მანეთს უმატებს. დამწყვდეულ პირუტყვს საკვები არა ეძლევა, გინდა ერთი კვირა იყოს. ცხენებს ხედნიან.

ჩვენში პირუტყვი უნახიროდ დადის ყველგან. ყანა ყველგან შეღობილია. პირუტყვი თუ ყანაში შევიდა, რამდენსაც აზარალებს პირუტყვის პატრონს, იმდენს ახდევინებენ. თითო მანეთი თითო სულზე უწყალო გადასახადია.

სოფლელი.

—

სამტრედია (იმერეთი). როგორც იქმნა, ვეღირსეთ საკვირაო სკოლის გახსნას. 19 ოქტომბერს აქაურ ორ-კლასიან სკოლის შენობაში აკურთხეს და კიდეც გახსნეს ბ-ნ ჯაშის ზედამხედველობით საკვირაო სკოლა. კურთხევის დროს რუსულ-ქართულად გალობდნენ ხსენებულ სკოლის მოწაფეები. კურთხევას დაესწრო 6 ადგილობრივი და კულაშის მასწავლებელი, 2 ადგილობრივი მასწავლებელი ქალი, ბოქაული, რამდენიმე ხელოსანი და ვაჭარი. სკოლის გახსნისათანავე 43 მოწაფე გამოცხადდა. მათ შორის 5 ქალია, 2 მუშა, 2 ვაჭარი და 34 ხელოსანი. მასწავლებლებმა გამოსცადეს მოსწავლენი და უმრავლესობა ცოტა წერა-კითხვის მცოდნე აღმოჩნდა. საჭიროდ დაინახეს სკოლაში 4 განყოფილების მოწყობა. ღარიბ მოსწავლეთათვის საჭირო სამოსწავლო ნივთები სკოლას ერთმა კაცმა აღუთქვა. საკვირაო სკოლაში სწავლება ნაშუადღევის 2 საათზე დაიწყება და 5 საათზე გათავდება. სკოლაში შესვლის მსურველი სხვაც ბევრია, მაგრამ ზოგი „ხაზეინი“ არ ანთავისუფლებს კვირაობით მუშაობისაგან. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ილიინის ქარხნიდან, სადაც ამჟამად 200 მუშა ქალია, არც ერთი არ გამოცხადდა საკვირაო სკოლაში. მიზეზად იმას ამბობენ, რომ ბევრს ეგონა საკვირაო სკოლაში სამოსწავლო ფულს ახდევინებენო. სკოლაში არამცთუ სამოსწავლო ფულს არ ახდევინებენ მოწაფეებს, პირიქით, ღარიბებს უფასოდ აწვდიან ნივთებს.

სანდრო

—

სოფ. აბაშა (სამეგრელო). სოფ. აბაშა ხუთ ვერსზეა სადგურ აბაშიდან. ჩვენმა სოფელმა კარგი სიმინდის მოსავალი იცოდა წინად, მაგრამ წელს წვიმებმა იმდენად გააფუჭა, რომ თითქმის შუაზე გაჰყო. რაც იყო, ისიც ვერ აიღეს ხეირიანად. ზევიდან აწვიმდა მუშას, ქვეშ კიდევ წყალი და ტალახი მუხლს სცილდებოდა. ერთი კვირაა, რაც გვარიანი დარებია. ვისაც დააგვიანდა მოსავლის ატანა, კარგი დარი მოესწრო. ჩვენ სოფელში, როგორც უკვე იციან მკითხველებმა, არსებობს ორ-კლასიანი სამინისტრო და ერთკლასიანი სამრევლო სასწავლებელი. ორ-კლასიანი სასწავლებელი ჯერ ახალია (წელს დაამთავრებენ პირველად კურსს). შენობისათვის მიწა შესწირა საზოგადოებას სამსონ ჯალაღანიამ. მაგრამ ეს მიწა სასწავლებლისათვის ძლიერ ცოტაა, იმდენად ცოტა, რომ შეშის დასაწყობი ადგილი ვერ იშოვეს ეზოში. რაც შეეხება ქალების სასწავლებელს, ჯერ-ჯერობით საქმე ვერ მიდის ხეირიანად. მიწა აქ ძლიერ ძვირია და საზოგადოებამ ჯერ ვერ იყიდა მიწა სასწავლებლისათვის. ახლა კიდევ პარტიობა გვიშლის, ეს დაუძინებელი მტერი ჩვენის საზოგადო საქმეებისა.

იმედი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 ოქტომბერი

ვორონეჟი. სახალხო განათლების დამხმარებელი საზოგადოება მუშათათვის სამხატვრო კურსებს აარსებს.

ლოძი. ჩინეთის აღმოსავლეთ რკინის გზის საზოგადოების კომერციულ განყოფილების გამგე მოვიდა. გამგე აქაურ ფაბრიკანტებს ადგილობრივ ნაწარმოებთა მანჯურიაში გასაღების შესახებ მოელაპარაკება.

ყაზანი. ქალთა პროგიმნაზიასთან მეშვიდე საპედაგოგიო კურსები დააარსეს.

კავკავი. პუშკინის სახელობის სახალხო სახლი აკურთხეს.

ჩიტა. ბაიკალის იქითა მხრის სამკურნალო წყლების შესწავლის დროს, პეტერბურგის პროფესორმა ზალესკიმ რკინის გზიდან 80 ვერსის დაშორებით ნახშირ-მჟავე გაზიანი სასმელი წყალი აღმოაჩინა. ახლად აღმოჩენილი წყალი არა ჩვეულებრივ ღირსებისაა, ადვილად შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს იაპონიიდან და საზღვარგარეთიდან შემოტანილ ასეთსავე წყალს.

კიევი. ქალაქის განაპირა სატუსაღოს შენობას ცეცხლი გაუჩნდა, მაგრამ ერთის საათის განმავლობაში ჩააქრეს. დაიწვა მარტო სახურავის ნაწილი. ტუსაღთა მეტი ნაწილი ეზოში გამოიყვანეს და ჯარი შემოარტყეს.

კაპშტადტი. როგორც ჰფიქრობენ, მთელი ტომი ბონდელცვარტისა რიცხვით 5000-დან—10000 კაცამდეა აჯანყებული. ვინდჰუკიდან ჯარი ვარმბადს წავიდა.

ბახმუტი. ბაირანსკის მაღაროებში ჩამოწოლილ ზვავს ქვეშ მოჰყვა რამდენიმე მუშა. მესამე დღეა ჩამოწოლილ მიწას სთხრიან. მოისმის ხმა ცოცხლად დამარხულ ხალხისა.

ნიუ-იორკი. გამოცხადებულია კოლუმბიის შტატის პანამას დამოუკიდებლობა.

ვისბადენი. ბერლინელი რუსეთის ელჩი გრაფი ოსტენ-საკენი მონარხების შეხვედრას დაესწრება.

სიმლა. ინდოეთის მთავრობა ლონდონიდან ნებართვას მოელის, რომ პოლკოვნიკ იონგხესბანდის მისია ტიბეტს გაიგზავნოს. მისიას ახლდება ორი პოლკი და ერთი როტა საპიორი.

ვისბადენი. ხელმწიფე-იმპერატორი მოვიდა.

არზამასი. საერობო კრებამ დაადგინა, არზამას-საროვის რკინის გზის თაობაზე აღძრულ შუამდგომლობას მხარი დავუჭიროთო.

24 ოქტომბერი

ვისბადენი. ხელმწიფე იმპერატორი 4 საათსა და 30 წუთზე მობრძანდა. იმპერატორი ვილჰელმი უცდიდა მის უდიდებულესობას. გულითად შეხვედრის შემდეგ, მონარხები დიდ ეტლით სასახლეში გაემგზავრნენ. მეორე ეტლით მიდიოდნენ ჰესენის დიდი ჰერცოგი და პრუსიის პრინცი ჰენრიხი. მესამეთი—იმპერიის კანცლერი და გრაფი ლამსდორფი.

ბერლინი. 27 ოქტომბერს აქ მოხდება რუსეთისა და გერმანიის რწმუნებულთა ხელახალი მოლაპარაკება რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ.

ლისაბონი. კვირას მოსული ხუთი ნადმანი გემი ისევ წავიდა.

კონსტანტინეპოლი. ხმა დადის, რუსეთისა და ავსტრო-უნგრეთის ელჩების მიერ პორტასაგან მიღებული პასუხი რამდენადმე საწინააღმდეგოა. პორტა ასახელებს მიზეზებს, რომლებიც ხელს უშლიდნენ რეფორმების განხორციელებას, ჩამოსთვლის მიღებულ ზომებს და რამდენიმე წინადადებას იძლევა. როგორც ხმა დადის, ბევრი მაკედონიის კომიტეტების სათავეში მყოფი საკმაოდ კმაყოფილი არის. ჰფიქრობენ, რევოლიუციონური მოძრაობა შეწყდებაო. მხოლოდ უკიდურესნი არიან ისევ მოძრაობის მომხრენი. ყველა დიდ სახელმწიფოს მოსწონს მოთხოვნილი რეფორმები.

ვაშინგტონი. შეერთებული შტატების კონსული პანამიდან იუწყება, რომ კოლუმბიის ჯარისა და ფლოტის ოფიცრები დატუსაღებულნი არიან. შესდგება ახალი მთავრობა სამის კონსულისაგან. ასეთსავე აჯანყებას კოლონშიაც მოელიან. შეერთებულმა შტატებმა გაგზავნეს რამდენიმე გემი პანამაში და კოლონში.

ლონდონი. საღამოს გზაში მიმავალს სამს სომეხს გრიგორიანს, სიმიციანს და კარაპეტიანს თავს დაესხა ორის რევოლვერით შეიარაღებული კაცი; ესროლა ერთსა და იმავე დროს გრიგორიანს და სიმიციანს და იქვე მოჰკლა, შემდეგ კარაპეტიანს ესროლა და მსუბუქად დასჭრა, მკვლელმა თავი მოიკლა. როგორც ხმა დადის, ეს მოკლული სომხები სომხების აქაურ ცენტრალურ კომიტეტის წევრებად ყოფილან.

ჰააგა. სამედიატორო სასამართლოს სხდომები 27 ოქტომბრიდან ხელ-ახლა დაიწყო. ვენეცუელას მიერ შემოტანილი განცხადება მიიღეს მხედველობაში

ვისბადენი. 5 საათზე სასახლეში გამართული იყო სადღესასწაულო სადილი. ხელმწიფე-იმპერატორმა იმპერატორ ვილჰელმის მარჯვნით დაიჭირა ადგილი. ხელმწიფე-იმპერატორის მახლობლად იჯდა ბიულოვი და იმპერატორ ვილჰელმ მახლობლად—გრაფი ლამსდორფი. ორივე მონარხები დიდის სიამოვნებით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. აგრეთვე ესაუბრებოდნენ უმაღლეს პირთა და იქ მყოფ წარჩინებულ მოხელეთ. სადილის შემდეგ მონარხები სასახლის თეატრში წაბრძანდნენ. ქუჩის ორსავე მხარეს ჯარი იყო გამწკრივებული. ორკესტრმა რუსული ჰიმნი დაუკრა. საზოგადოება მონარხებს აღტაცებულ „ურა“-ს ძახილით უხვდებოდა. მონარხების თეატრში შესვლისათანავე მუზიკამ დაუკრა, რის შემდეგ ორკესტრმა რუსული ჰიმნი დაუკრა. წარმოადგინეს „ობერონა“ ვებერისა. წარმოდგენის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი უკან დაბრუნდა. იმპერატორმა ვილჰელმა ხელმწიფე სადგურამდე გააცილა. სადგურში მიმავალ მონარხს სამხედრო სალამით უხვდებოდნენ.

ლონდონი. ამბობენ, რომ ბოროტ-მოქმედს, რომელიც სამს სომეხს თავს დაესხა, თავზე ისეთივე ქუდი ეხურა, როგორიც სომეხ საგუნის მკვლელსაო.

ნიუ-იორკი. ინდიანსა, ილინოისსა, მისურსა, კენტუკსა და მისისიპში ცოტათი მიწა იძრა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 **ოქტომბრიდან.**

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 . (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

—

იყიდება

ალექსანდროვის ბაღში, სამეურნეო საზოგადოების შენობაში **ხელსაყრელ ფასათ,** კვერცხი, ქათამი, ბატი, ღორი, თაფლი და თუშური ყველი (სანოვაგე იგზავნება დიდ კომშეთის სავლეხო დამხმარებელ საზოგადოებისაგან).

(2—185—1)

სხვა და-სხვა ყვავილის

საუკეთესო

ო-დე-კოლონ

№ 4711

რეინის თაიგულები

უმჯობესი, ხანგრძლივი და იაფი დუხები ცხვირსახოცებისთვის

უცვლელგვარ ყვავილის სუნელებისა

(მც. 10—2)

ქუთაისში

სამ. ი. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

ტელეფონი № 741 **დაარსების მიზანი** ტელეფონი № 741

საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობისა

ი ყ ო დ ა ა რ ი ს

მხოლოდ საუკეთესო საქონლით ივაჭროს და მცირე სარგებლით კმაყოფილ იქმნეს. ამხანაგობა სცდილობს ყველა საქონელი სატახტო ქალაქების ფასებში ჰყიდოს, ამიტომ მყიდველთ ეთმობა 5—10 პროცენტი ტფილისის ფასებთან შედარებით. სწორედ ამ მოსაზრებით, რომ საქონელი გააიაფოს, ამხანაგობამ დაიქირავა მაღაზიები **არა გამოსაჩენ ადგილზე** კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество Фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика.

იბეჭდება ახალი გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელ საზოგადოებისა“

საქართველოს კალენდარი

ვალ. გუნიასი

რედაქცია ფილ. გოგიჩაიშვილისა.

კალენდარი შესწორებულია და შევსებული მრავალის ახალის ცნობებით. კალენდარში მოთავსებული იქმნება სხვა-და-სხვა სამეცნიერო წერილი და სალიტერატურო განყოფილება. კალენდარი წინანდებურად დასურათებული იქმნება.

მიიღება განცხადებები კალენდარში დასაბეჭდად

წიგნის თავში—1 გვ.—10 მან., ნახევარ გვ.—6 მან. წიგნის ბოლოში—1 გვ.—6 მან., ნახევ. გვ.—4 მან.

განცხადება მიიღება: ტფილისში—საზოგადოების კანცელარიაში (Общество грамотности), ქუთაისში—ვ. ბეჟანიშვილთან და მიტრ. ლალიძესთან, ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან და სპ. ჭელიძესთან.

იბეჭდება იმავე „საზოგადოების“ გამოცემა

კ ე დ ლ ი ს კ ა ლ ე ნ დ ა რ ი

კალენდარი იქმნება დიდის ფორმატისა. წინა გვერდზე, გარდა საეკკლესიო ცნობებისა, აღნიშნული იქმნება, ისტორიული მოვლენანი; უკანა გვერდზე მოყვანილ იქმნება გამოჩენილ პირთა აზრები, ლექსთა ნაწყვეტები, ისტორიულ-ბიოგრაფიული და სხვა გამოსადეგი ცნობები.

(10—6.—9)

Дозв. ценз. Тифлисъ 23 Октября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Гру.. Издат. Т—ва).